პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 194-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხზე აქტივობის განხორციელების მიზნით.“;

ბ) შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. ამ მუხლის მიზნებისთვის საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის რწმენით ან განზრახვით განხორციელებული ან განსახორციელებელი ისეთი საქმიანობა, რომელიც მიმართულია საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, გატარებისკენ ან შეცვლისკენ, აგრეთვე ხმარდება ან შეიძლება მოხმარდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 319^1 და 319^2 მუხლები:

„მუხლი 319^1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან უცხოელ პირთან არამართლზომიერი თანამშრომლობა

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და 5^1 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უცხოური გრანტის იმავე კანონით გათვალისწინებული გრანტის

გამცემისგან გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი თანხმობის გარეშე პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღება ან ასეთი გრანტის გამოყენება, აგრეთვე, იმავე კანონით გათვალისწინებული თანხმობის გარეშე სათანადო დოკუმენტში მითითებული მიზნისგან განსახვავებული მიზნით საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხზე აქტივობის განსახორციელებლად გრანტის მიმღების მიერ ამ ნაწილით განსაზღვრული უცხოური გრანტის გამოყენება,-

ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამასიდან ხუთას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1^4 პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გარეშე იმავე პუნქტით გათვალისწინებული გრანტის მიღება, აგრეთვე, „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის 1^5 პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გარეშე ტექნიკური დახმარების გაწევა,-

ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამასიდან ხუთას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

3. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის 5^1 მუხლის „1^2“ პუნქტით განსაზღვრული სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირის მიერ იმავე კანონით გათვალისწინებული თანხმობის გარეშე გრანტის პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღება ან ასეთი გრანტის გამოყენება,-

ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამასიდან ხუთას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

4. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის 5^1 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული იმ სახსრების მიღება ან გამოყენება, რომელიც თავისი ბუნებით გრანტია, მაგრამ გაცემულია იმავე კანონის მე-5 ან 5^2 მუხლებით განსაზღვრულისგან განსხვავებული, მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგების საფუძვლით,-

ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამასიდან ხუთას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

5. სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის ან იურიდიული პირისთვის საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე აქტივობის განხორციელების სანაცვლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე უპირატესობის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაცემა,-

ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამასიდან ხუთას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხზე აქტივობად მიიჩნევა პირის მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის რწმენით ან განზრახვით განხორციელებული ან განსახორციელებელი საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, მიღებისკენ ან შეცვლისკენ, აგრეთვე ის საქმიანობა, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირის საქართველოში რეგისტრირებულ ფილიალზე, წარმომადგენლობაზე, განყოფილებაზე.

მუხლი 319². საქართველოს პოლიტიკური პარტიის მიერ უცხოური სახსრების მიღება

საქართველოს პოლიტიკური პარტიის მიერ ნებისმიერი სახის უცხოური შემოწირულების მიღება,-

ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით სამასიდან ხუთას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ამავე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

ეკისრება შესაბამისი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელ თანამდებობის პირს.“.

3. 355-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 355. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა ან დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა

1. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ან დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. პოლიტიკურ-პარტიული მიზნის მქონე სუბიექტის მიერ დეკლარაციის წარუდგენლობა, დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დეკლარაციაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობა,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 2.

1. თუ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის 5^1 მუხლის „1^2“ პუნქტით გათვალისწინებულმა სხვა სახელმწიფოს იურდიულმა პირმა გრანტი ამ კანონის ამოქმედებამდე მიიღო და ეს გრანტი არ გამოუყენებია, ეს იურიდიული პირი ვალდებულია მიღებული გრანტის გამოყენებაზე თანხმობის მისაღებად ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს მიმართოს. თანხმობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ამ იურიდიულ პირს ეკრძალება მიღებული გრანტის საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე აქტივობის განსახორციელებლად გამოყენება. მიღებული გრანტის

გამოყენება იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 319[1] მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2. თუ ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის პირს გრანტი საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აქვს მიღებული და ეს გრანტი არ გამოუყენებია, ამ პირს უფლება აქვს მიღებული გრანტის გამოყენებაზე თანხმობის მისაღებად ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს მიმართოს. თუ ამ პირმა შესაბამისი თანხმობა ვერ მიიღო, ეს პირი ვალდებულია მიღებული გრანტი არ გამოიყენოს. მიღებული გრანტის გამოყენება იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 319[1] მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**